აჭარის წყლის
ალიანსი

N 176
03/11/2022

176-01-2-202211031520
https://edocument.ge/AdjaraGov/public

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

საგანი: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

ქალბატონო ნინო

www.awa.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 26 ივლისის #21/3850 წერილით გადმოგზავნილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის 26 ივლისის „ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის (N 1) მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ #208/ს ბრძანებისა და #39 სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების საფუძველზე გიგზავნით საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირისგან დამატებითი ფინანსირებით მიმდინარე „აჭარის სოფლებისა და დაბების წყალმომარაგების და წყალარინების პროგრამის“ ფარგლებში **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს** ჩამდინარე წყლის გამწმენდი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის **ქობულეთის მუნიციპალიტეტის** დაბა ოჩხამურის გამწმენდი ნაგებობის (N 1) არეალისთვის.

ველოდებით თქვენს გადაწყვეტილებას და ვრჩებით თქვენს განკარგულებაში საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი განმარტებისთვის.

დანართის სახით თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები (ბეჭდური და CD დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიები:

- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და აწყალარინების პროგრამის ფარგლებში **ქობულეთის მუნიციპალიტეტის** დაბა ოჩხამურში ჩამდინარე წყლების N1 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში**;
- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და აწყალარინების პროგრამის ფარგლებში **ქობულეთის მუნიციპალიტეტის** დაბა ოჩხამურში ჩამდინარე წყლების N1 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის

საქართველო, აჭარა, ბათუმი, 6010, კ.გამსახურდიას ქუჩა N1, ოფისი N4-7, ტელ: (0422) 278686
k.Gamsakhurdia St N1, Office N4-7, 6010, Batumi, Ajara, Georgia Tel (0422) 278686
Info@awa.ge www.awa.ge

მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (არატექნიკური რეზუმე)**;

- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და აწყალარინების პროგრამის ფარგლებში დაბა შუახევის ჩამდინარე წყლების N1 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **გამწმენდი ნაგებობის ექსლუატაციის პროცესში ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი**;
- აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და აწყალარინების პროგრამის ფარგლებში დაბა შუახევის ჩამდინარე წყლების N1 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **გამწმენდი ნაგებობის ექსლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები**;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და აწყალარინების პროგრამის ფარგლებში დაბა შუახევის ჩამდინარე წყლების N1 გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის **გარემოზე ზემოქმედების შეფასების** ანგარიშზე მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
- შეიფ ფაილების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

თეიმურაზ ბედინაძე

დირექტორი